№ 213
1877

# ივერია

№ 213
1093

ოკტომბერი 7 სამშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ოკტომბერი 7, სამშაბათი 1903 წ.

პირველ ოქტომბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 3 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

რონიაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“

ფოტოგრაფია

რონიაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აჰიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) საუცხოოდ დახატული.

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეებს ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცემაძე.**

წარმოდგენა № 8. ტელეფონი № 617

ავლაბრის ახალი თეატრი

სამშაბათს, 7 ოკდომბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

ორი ობოლი

მელოდრამა 5 მოქმ. ნათარგმნი ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქქ-ნნი ნ. გამრეკელისა, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელისა, მ. მდივანი, ელ. ჩერქეზიშვილისა, ნ. ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ლ. აწყურელი, ლ. ბაქრაძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, შალიკაშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ს. სვიმონიძე.

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსთა ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სამშაბათს, 7 ოკდომბერს 1903 წ.

წარმოდგენილი იქნება

პიკოვაია დამა

ოპერა 3 მოქმ., მუსიკა ჩაიკოვსკისა.

გერმანის პარტიას შეასრულებს მის უდიდებულესობის სოლისტი ნ. ნ. ფიგნერი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ბი: რენე-რადინა, არციბაშევა, კარრი, კალინინა, სელიუკროზნატოვსკაია, დელინა, სკორუპსკისა; ბ-ნნი: ფიგნერი, ილიუშჩენკო, ამირჯანი, ევლახოვი, შმაკოვი, კლიუზნერი, გრინიოვი, გავრილოვი.

უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი ესპოზიტო.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

**ანონსი:** ხვალ, 8 ოკდომბერს, წარმოდგენილი იქნება «ცარსკაია ნევესტა», ოპერა 4 მოქმ., მუსიკა რიმსკი-კორსაკოვისა.

ბილეთები იყიდება.

ქუთაისის საქალებო პროგიმნაზიის მთავრობა ამით აცხადებს, რომ სწავლა პროგიმნაზიაში დაიწყება 2 ოქტომბრიდან 1903 წლისა.

პროგიმნაზია არის მესხეთის ქუჩაზედ, ტყეშელაშვილის სახლში.

ექიმი

ბესარიონ პაპოვი

სწამლობს განსაკუთრებით ყელ-ყურისა და ცხვირის ავადმყოფობას. მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათზედ. სხვა დროს მიღება შესაძლოა წინადვე შეთანხმებით. კუკია, რეუტოვის ქუჩა № 26, ავჩალის ქუჩის კუთხეში.

(10—2)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ

14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.

162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ლ. ვ. ბარტოლდი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 8½—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

**ვ. ი. ჟიჟინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ლ. ი. კამოევი.** საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილებისა 10—11 საათ.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

## ტფილისი

⁂ სომხურმა გაზეთმა „ნორ-დარმა“ გუშინწინ გადაბეჭდა სტამბოლის სომხურ გაზეთ „სურჰანდაკიდან“ წერილი სომხურ მხატვრობის შესახებ, სადაც მოხსენებულია, რომ ალექსანდროპოლის ეკლესიაში ამ ჟამად იპოვება ერთი ძველი მხატვრობა. სახელად „ეოთნ ვირაც“—„შვიდთა ივერთა“, რომელიც X—XI საუკუნის ხელოვნების ძვირფას ძეგლად ითვლებაო.

ვთხოვთ ჩვენებურ მეისტორიებს გამოაქვეყნონ, თუ რამ ცნობა მოეპოვებათ იმ „შვიდთა ივერთა“ მხატვრობის შესახებ, ვინ იყვნენ ის ივერნი და რა იყო ისეთი მათი ცხოვრება, რომელიც მხატვრობის საგნად გამხდარა ან ვინ იყო მათი უკვდავმყოფელი ხელოვანი მხატვარი. ვთხოვთ აგრეთვე ალექსანდროპოლის მცხოვრებ ქართველებს, ვისაც-კი ეინტერესებათ ეს საქმე, მოიკითხონ, რომელ ეკლესიაში იპოვება „შვიდთა ივერთა“ მხატვრობა, ასწერონ მისი შინაარსი, გამოიკითხონ მისი სადაურობა და ბოლოს ყველაფერი „ივერიის“ საშუალებით აცნობონ საზოგადოებას და, თუ შესაძლებელად დაინახონ, მხატვრობა გადმოიღონ როგორმე და წერილთან ერთად ისიც გამოგზავნონ.

⁂ დღეს, სამშაბათს, ავლაბრის ახალ თეატრში, ქართულ დრამატიულ დასის არტისტები წარმოადგენენ ა. ცაგარლის ნათარგმს მელოდრამას „ორი ობოლი“.

⁂ ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი: „ჰომიროს თქმული აქილიანი, ძველი ბერძნული ამბავი“, გადმოღებული, გამართული და ნახატებით გამოცემული ჩვენის თანამშრომელის კლდიას მ. ერ. კარი პირველი. როგორც წინადაც გვქონდა მოხსენებული, ბ-ნ კლდიას განუზრახავს გამოსცეს „აქილიანი“ (ილლიადა) პატარა წიგნაკებად. ამ პირველ წიგნაკში რომელიც სულ 35 გვერდს შეიცავს, მოთავსებულია ჰომიროს სურათი, ბიუსტიდგან გადმონახატი და 7 სურათი ძველ-ბერძენთა ცხოვრებიდგან. ფასი წიგნაკისა ორი შაურია.

⁂ როგორც «ნორ დარა»-ი გადმოგვცემს, 3 ოკდომბერს ვანქის ტაძარ თან ვიღაც უცნობმა კაცმა განიზრახა სომეხთა მღვდლის ალექსანდრე ტერ-ოვანესიანცის მოკვლა. უცნობმა რევოლვერი ესროლა, მაგრამ ტყვია ააცდინა. უცნობი ისე მალე გაპქრა, რომ დაჭერა ვერ მოასწრეს.

⁂ 6 ნოემბერს ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრს თ-დ ვ. ჩერქეზიშვილს სამსახურის ვადა უთავდება.

⁂ ამ ცოტა ხანში ამიერ-კავკასიას ეწვევიან ინგლისელი მოგზაურნი. 8 ოკდომბერს მოგზაურნი „არგონავთი“-ს გემით ბათუმს მოვლენ. ტფილისში ორ დღეს დარჩებიან, 9 და 10 ოკდომბერს. ჩამოხდებიან «კავკაზ»-ის სასტუმროში.

⁂ გამოვიდა პირველი ნომერი ახალ სომხურ ჟურნალის „ჰიგიენურ ფურცლი“-სა, რომელიც თვეში ორჯერ უნდა დაიბეჭდოს.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ მიჰმართა კავკასიის გუბერნიების მაზრის უფროსებს და სთხოვა, აცნობონ საქონლის პატრონებს, რომ ქალაქისათვის საკლავი საქონელია საჭირო და, ვისაცა ჰსურს ასეთი საქონელი მიჰყიდოს ქალაქს, უნდა განცხადება წარუდგინოს გამგეობას. წელიწადში ქალაქს თავის საყასბოებისათვის სჭირდება 12-დან 16 ათას სულამდე. შეიძლება საქონელი ან ერთად მორეკონ, ან ნაწილ ნაწილ.

⁂ საფილოქსერო კომიტეტმა დაადგინა: 1) გამოცხადებულ იქმნას სამურზაყანოს ვენახები ფილოქსერით დაავადებულად; 2) შუამდგომლობა იქმნეს ალძრული მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რომ გაუქმდეს ტფილისის გუბერნიაში ორის ინსტრუქტორის ადგილი და ნაცვლად დაარსებულ იქმნას თანამდებობა ერთის უმცროსის ექსპერტისა, რომელსაც ჯამაგირად უნდა დაენიშნოს ათას რვაასი მანეთი. ამ ექსპერტს დაევალება ტფილისის გუბერნიის შუაგულ ადგილებში მამულების თვალყურის გდება და ფილოქსერის მხრივ გამოკვლევა: 3) დაარსდეს სოხუმის ოლქში თანამდებობა მოგზაურ მებაღისა, რომელსაც წელიწადში ჯამაგირად უნდა მიეცეს 900 მ. ამ მებაღემ უნდა უაროს სოხუმის ოლქის ჰამულებსა და ბაღებს, რომ ფილოქსერა არ გავრცელდეს, და 4) რადგინაც სოხუმის ოლქში ასეთი თანამდებობის დაარსება ძალიან საჩქაროა, ეხლავე დაინიშნოს იქ ერთი ადგილიდგან მეორეში მოგზაური მებაღე, რომელსაც დაევალება ფილოქსერის მხრივ გამოკვლევა ვენახებისა ოჩემჩირედან მოკიდებული, ვიდრე სოხუმამდე, და აგრედვე თვალ-ყურის გდება გასატანად დამზადებულ ვაზის ნერგებისა სოხუმიდან და მოწმობების მიცემა.

## სვანეთში ორი კვირით

(შემდეგი *)

### XIII.

უშკულის საზოგადოება ოთხის სოფლისაგან შესდგება, რომელთაგან მურკმელი ენგურის მარჯვენა ნაპირზედ მდებარეობს, ხოლო ჩუბიანი, ჩაჟაში და ჟიბიანი მარცხენა ნაპირზედ. ს. ჟიბიანი ამ სოფლებს თავშია და ენგურის სათავე სიყინულეები და თოვლიანი კლდოვანი კავკასიონის მთა მაღლიდგან დაჰყურებენ, სულ ერთი ვერსის მანძილზედ. აქედგან მოკლე გზა გადადის ჩადრკილ უღელ-ტეხილზედ. რაჭაში ს. ღებზე-უწერაზე.

უშკულის საზოგადოებაში წმინდად დაცულია ქართული ტიპი, დიდი პატარა წმინდა ქართულ ენაზედ ლაპარაკობენ, უფრო უკეთესად, ვიდრე ფშავ-თუშ-ხევსურნი. სასიამოვნო სანახავი და მესაუბრე იყო მამასახლისი უშკულის საზოგადოებისა გაგი ნიჟარაძე *). მისი წარმოსადეგობა და მშვენიერი ზრდილობიანი მიხვრა-მოხვრა, მისი წმინდა, სიცოცხლით სავსე წყლიანი ქართული ლაპარაკი შუა ქართლშიაც თითით საჩვენებელი იქნებოდა.

უშკულის საზოგადოებაში სულ ოთხმოცდაათამდე კომლია: ჟიბიანში რატიანები და ბეშიძეები ცხოვრობენ; ჩუბიანში ჩარკვიანი და ასათიანები; ჩაჟაში ნიჟარაძეები, ჭელიძეები, ვაჩლიანი და იმედიანები.

რა კი უწინ ერთი ათად უფრო მრავალი ხალხი ყოფილა სვანეთში, ამიტომ თვითოეულ სოფელში სას-სამ-ოთხ-ოთხი საყდარია. ზოგიერთი არც კი განირჩევა სვანთა სახლებისაგან. ზოგი-კი განზედ არიან აშენებულნი, გარს მაგარი გალავნით და პატარა შესავალი ერთად-ერთი კარებით.

ს. ჟიბიანის ღვთისმშობლის საყდარი განმარტოებითა სდგას მაღლობ სერზედ, ჩრდილოეთით. იმ საღამოს (12 ივლისს) საყდრის ნახვა არ მოხერხდა **). იმ დღეს სოფელს სამღვთო ჰქონდათ და მესამდთოენი ძალზე დაყენთილიყვნენ არაყით.

მეტი რა ღონე იყო, იმ ღამეს ს. ჩაჟაშის სამინისტრო სკოლის მასწავლებელ ნიჟარაძესთან დავრჩით ***). მეორე დილით მასწავლებლის დამ ძუის ქამანჩით დაუკრა ფაშვ-გადაკრული ფანდური ***) და დამღერა. კილო სიმღერისა წმინდა ქართულია, ძალიან წააგავს მწყემსების დაკვრა-სიმღერას ფანდურზედ. მაგრამ ხარნარი ხმით ახალგაზდა ქალის სიმღერა, ძუის სიმებიან ფანდურის აკომპანიმენტით სწორეთ სანეტარო მოსასმენი იყო. ყველანი სმენად გადვიქეცით და ყურის მოშარება გვეძნელებოდა. ასე მძლავრი ყოფილა უწინ ქართლის გავლენა მთაში

*) იხილე „ივერია“ № 198.

*) აქ, როგორც მთელ თავისუფალ სვანეთში თავად-აზნაურის ხსენება ჰაჰანებად არსად არის. გვარები-კი უფრო იმერეთ-ქართლის თავად-აზნაურებისაა და ყველანი თვითოეულ გლეხთა საზოგადოებას შეადგენენ.

**) პოლკოვნიკი ბარტლომეი უშკულელებმა არამც თუ საყდარში, არც ერთ სოფელში არ შეუშვეს, და ცარიელ-ტარიელი გამობრუნდა.

***) ამისი მამა მღვდელია უშკულის საზოგადოებისა: დედა ქართლელია, ს. სკრიდგან.

***) ერთი ამისთანა ფანდური ბ. ფალიაშვილმა წამოიღო და წ.-კით. საზ, მუზეუმს უძღვნა.

და ასე წმინდათ შენახულა მათში ქართლის გავლენა!..

სკოლაში სწავლა მხოლოდ ზაფხულობით არის, ოთხი ხუთი თვის განმავლობაში, რადგან დანარჩენ თვეებში დიდი თოვლის გამო სიარული შეუძლებელია. აქ მხოლოდ თორმეტი ბავში დაიარება, ისიც მასწავლებლის წყალობით: ზოგს ქაღალდს, ზოგს საჩუქრებს ურიგებს და სხ. გაგვიკვირდა.

ვკითხეთ მამასახლისს ბეგი ნიჟარაძეს ამისთანა სამწუხარო ამბავის მიზეზი. ბეგიმ გულახდით გვიპასუხა—ბავშვები ვერასა სწავლობენ, ტყუილად სცდებიანო. ჩვენ შვილებს ქართულის სწავლა ეპირვებათ, მაგრამ არ ვიცით რატომ არ ასწავლიანო. რასაც ასწავლიან, ჩვენ არავის არა გვესმის-რაო და ისევ შინაური ცოდნის ანაბარს რჩებიან ჩვენი ბავშვებიო“.

რასაკვირველია, ამისთანა უგზაურობა მთელ სვანეთში გაუდგამს ფესვი და რა ხილსაც დაისხამს, ეს მერე გამოჩნდება.

უშკულის საზოგადოების სოფლები მთელ სვანეთში უსუფთაობით გათქმულნი არიან, მეტადრე ს.ს. ჟიბიანი, ჩაჟაში და ჩუბიანი. მშვენიერ ძველ კოშკებს გარს აკრავან ზედიზედ მიშენებული სახლკარ ბინადრობანი, უკლგან ნეხვის წუმპე-ტბორებია და საზიზღარი სუნი ასდით. ეს ტბორები გარს შემოზღუდულნი არიან კედლების ძირას. ბოსლებიდგან მთელი უწმინდურობა და საწვეთებიდგან ჩამონადენი ამ წუმპეებში იყრიან თავსა და მუდამ დაუშრობელნი არიან. ამის მიზეზად შემდეგი გვითხრეს: უშკულის საზოგადოების არე-მარე სრულიად ტიტველაა—უტყეო; აქ ჯაგსაც ვერსად ნახავთ, არამცთუ დიდს ხესა.

მიწა უნაყოფოა, ქვიანი და ოღრო-ჩოღრო. ჰავა მეტად ცივია და სუსხიანი. ამიტომ აქაური ნახნავ-ნათესი (ქერი და ფეტვი) ძნელად გადურჩება თოვლსა. ამიტომ უშკულელები თავის სცოდავს თითო ოროლა დღიურ სახნავ-მიწებს ნეხვის წუმპეებით აპოხიერებენ, რომ ნათესი მალე შემოვიდეს და თოვლმა არ უსწროს, უამისოდ დედალ-მამალი არა გატყვრებარაო. ყოფილა შემთხვევა, რომ ღარიბს მშობლებს ქალისთვის მზითევში ნეხვი გაუტანებინოთ.

სხვილ ფეხი საქონელი (ხარი, ძროხა) ოსებს გადმოუდით ჩრდილოეთიდგან და ასაღებენ სვანეთში.

ს. ჩაჟაშში ორი დიდი ხარი იყიდეს, საყდრის გალავანთან დაუმწყალობნა მღვდელმა და მარილი უკურთხა. შემდეგ ხალხმა მოიხადა ქუდები და პირჯვრის წერით და ხელგაპყრობით შეჰღაღადეს ღმერთსა—„ჩვენი სამლოთ შეიწირეო“.

შეალოკეს ნაკურთხი მარილი ხარებსა და წამოაქციეს დასაკლავად.

მღ. პ. კარბელაშვილი.

(შემდეგი იქნება)

---

# ჩვენებური ამბები

**ს. დიდი-ჯიხაიში** (ქუთაისის მაზრა). არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვსთქვა ჩვენს წიგნთ-საცავ-სამკითხველოზედ, რომელიც ეგრედ წოდებულ „სარაინდო გასართობად“ გადაქცეულა ჩვენის ბიბლიოთეკარის მეოხებით.

საკვირველია, რომ სისტემატიურად ვერ იცავს სამკითხველოს წეს-რიგს პატივცემული ბიბლიოთეკარი, რომელიც არა ერთი და ორი წელიწადია, რაც ჩვენს სამკითხველოს ემსახურება. ნუ-თუ დღემდი ვერ შეუგნია, რომ სამკითხველოში კითხვის დროს სიჩუმე-მყუდროებაა საჭიროო? ეს სიჩუმე ზოგიერთის ვაჟბატონის წყალობით არასოდეს არ სუფევს ჩვენს სამკითხველოში. საუბედუროდ, თუ ბიბლიოთეკარი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას რიგზე, არც ბ-ნი გამგე ჩამორჩენია მას უკან და ვერავითარი ღონისძიება ვერ მოუხმარებია რომ, სამკითხველოში მკითხველებს კითხვის დროს ხელს არ უშლიდნენ ის ვაჟბატონები, რომლებიც სამკითხველოში სამუსაიფოდ დაბძანდებიან. ნუ თუ არ ესმით თავიანთი მოვალეობა?

ყოველ ამის გამო მკითხველს სამკითხველოში სიარულის სურვილი ეკარგება, რასაც დიდათ უნდა უფრთხოდეს ყოველი შეგნებული ადამიანი.

რამდენჯერაც მივედი სამკითხველოში გაზეთების წასაკითხათ, ვერასოდეს ვერ მოვახერხე, რომ ყურადღებით გადამეკითხა რომელიმე გაზეთის ფურცლები, ისე წაღებული იყო ყურთა სმენა ხანგრძლივ მუსაიფ-კამათით და ზედ დამატებულ სიცილ-ხარხარით.

ბ. პელაშვილი.

---

**ქ. ოზურგეთი.** მოგეხსენებათ, რომ თ. ნ. თავდგირიძემ უკვე აიღო ნება ნატანებიდგან ოზურგეთამდე რკინის გზის გაყვანისა. ამ დღეებში აქ ჩამოვიდა თ. ნ. თავდგირიძე, მიიწვია ოზურგეთის მცხოვრებნი და გამოუცხადა, მე მოვიყვანე ერთის ამხანაგობის წარმომადგენელი, რომელიც გამოიყვანს რკინის გზას შემდეგის პირობებით: ეს ამხანაგობა სდებს შვიდი-ათას მანეთს: ოთხასი ათასი მოუნდება რკინის გზის გაყვანას, ხოლო სამასი-ათასს აძლევს ქალაქს, რადგან, თუ ვინიცობაა, რკინის გზის შემოსავალმა ვერ გაისტუმრა იმ ფულის პროცენტები, რომელსაც ეს ამხანაგობა ჰხარჯავს ამ საქმისათვის, ეს სამასი-ათასი მანეთი აწარმოვოს ქალაქმა, როგორც უნდა, და გაისტუმროს ამ თანხის პროცენტები... ქალაქი დასთანხმდა ამ პირობებს და ხელიც მოაწერა პირობის ქაღალდზე რამდენმამე ასმა კაცმა.

---

**დ. ცხინვალი.** თავათ არ იყო ძმარიო, შიგ გაურიეს წყალიო, სწორედ ისე მოუვიდათ ზემო ქართლელებს. 25 სეკდემბერს დილიდანვე დაიწყო დასავლეთის ქარმა ქროლა, ცოტ-ცოტაობით უმატა და თანდათან ისეთი ძლიერი შეიქნა, რომ დედა-მიწასა ჰბღვნიდა. დაგლიჯა მრავალი ხე, გადაჰგლიჯა სახლებს სახურავები. ამბობენ, ცხინვალში ერთი ქვიტკირის სახლიც დაიქციაო. ნახევრობით ძირს დასცა ჯერ ისევ მსხმოიარე ხილი, ვაზის ტოტები მილეწ-მოლეწა და რა მოუვიდოდა იმ ყურძენს, რაც გაზაფხულის სეტყვას გადაურჩა?

კარგად ვიცით, წელს ჭირნახული ნაკლები მოვიდა და, რაც მოვიდა, იმასაც ჩალის ფასათ ჰყიდის გაჭირვებული პატრონი. წარმოიდგინეთ 55 მ. 65 კ. მეტს არ აძლევენ და ამასაც ნახევრობით წონაში ჰპარავენ; ასევე ექცევიან შემოტანილ ყველის გამყიდავებს. ამ აღვირ-წახსნილ ვაჭართა შორისა ბძანდება ერთი, რომელსაც შარშანდლამდის სამიკიტნო ჰქონდა და პატიოსანის ყოფა-ქცევისათვის სოფელმა ვაჭრობის ნება აღარ მისცა ახლა მიუტანია მარილი და ყველსა სცვლის უბირ ოსებზედ. ამ ვაჟბატონს ორილი სასწორი უდგას: ერთი მაშინისა და მეორე—გირებიანი, ძველებური.

მის დუქანში, ყოველ-დღე ჩხუბი და აყალ-მაყალია. დროა ამ ვაჟბატონს ამ ვაჭრობაზედაც ხელი აღებინონ როგორც სამიკიტნოზედ, თორემ ან მოჰკლავს ვინმე და ან შეაკვდება ვისმე.

ცხინვალის გასუფთავებას ხომ არა უშველა-რა. ან რა გაასუფთავებს ცხინვალს, თუ არ ქუჩაში მონავარდე ღორებიი ხრო.

ნალბანდებმა ხომ ვერ ისწავლეს თავიანთი წესი და რიგი. იმდენი ცხინვალში ცხენი არ არის, რამდენიც ნალბანდია. საითაც-კი გაიხედავ, შიგ შუა ქუჩაში შეგხვდება ცხენები ფეხებ აწეული, კამეჩი და ხარი წაქცეული. ბევრჯერ ამათ წაქცევაზედ ერთი ორ ოტ-ტრაალია ხოლმე. ჩვენებურმა მეეტლეებმა, ხალხის თვალების ასახვევად, ვითომდა წეს-რიგი დასდეს, რომ ზამთარ—ზაფხულ ყოველ მგზავრს მანეთი ახდევინონ, მაგრამ ეს ცარიელი სიტყვა იყო და საქმე-კი სულ სხვაა. თუ ცას ნამი გავარდა, ყოველის ფერი იმათი ნებაა, რასაც აიღებენ, ნამეტან გორიდგან. დროა, ამ გვარს უწესობას ბოლო მოეღოს დროა, ცხინვალელი დაუფიქრდეს თავის ნამოქმედარს, მაგრამ რა უნდა ვილაპარაკოთ იქ, სადაც დიდი და პატარა, მღვდელი და ერი ყველა წურბელათ გადაქცეულა საცოდავის ხალხის ძარღვების გამოსაწურავ.

ცხინვალის მედუქნეები (მიკიტნები) ვერფერს გუნებაზედ ბრძანდებიან იმის გამო, რომ ცხინვალელ ებრაელებს უდროვოდ შემოუღიათ არყის მონოპოლია, ასე რომ ყველა ოჯახში თურმე ტიკებით უწევიათ არაყი და ჩვენმა მუშა ხალხმა (თუ არა მუშამ) პატარა ფას ნაკლებ თუ დაინახა რამე, ბუზივით თავებს შიგ ჩაიხრჩობენ.

არც გადამწვარის ხალხის საქმე მიდის კარგად. ზოგიერთები ძველ ჩანაცრებულ ნ ქვიტკირალზედ აშენებენ სახლებს, თუმცა-კი უბებოთ ნება არავისა ჰქონდა) და წარმოიდგინეთ, რა ნიადაგი ექნება. ერთი სახლი უკვე ჩამოწოლილა და თუ ერთ მუშა გლეხს არ გამოერეკნა ყვირილით, შვიდი რვა სული ქვეშ მოჰყვებოდა.

დროებითი მეთვალყურე.

---

# რუსეთი

ვაზას გუბერნატორს ფინლიანდიაში სავალდებულო დადგენილება გამოუცია, რომ ხალხმა არ მოიყაროს თავი მოედნებზედ. ქუჩებში, ბაღებში და სხვა დაწესებულებაში, რათა მით არ დაირღვეს საზოგადო წესიერება და მშვიდობიანობა. აგრეძვე არ მოიყაროს თავი იმ აზრით. რომ მთავრობის წინააღმდეგ დემონსტრაცია იქმნას გამართული. თავ-მოყრილი ხალხი მოვალეა პოლიციის პირველ მოთხოვნილებისამებრ დაიშალოს. აღკრძალულ იქმნა ამ სავალდებულო დადგენილებით მდერა ზემოხსენებულ ადგილებში რაიმე სასიმღეროების, გალობა ფსალმუნებისა, წარმოთქმა სიტყვებისა და სხვ., თუ ყოველ ამის ნება არ არის აღებული მთავრობისაგან. ვინც დაარღვევს ამ დადგენილებას, ჯარიმა გადახდება და თუ ჯარიმის გადახდას არ იკისრებს დაპატიმრებულ იქმნება. დადგენილების დარღვევის საქმე სასამართლომ-კი არ უნდა განიხილოს ამიერიდგან, არამედ გუბერნატორმა საადმინისტრაციო წესითაო.

— გადაწყვეტილია, რომ თავად-აზნაურთა საურთიერთო დახმარების კასებს მიეცეთ მერმის 2 მილიონი მანეთი შესაწევრად.

— ოდესის ზოგიერთს გიმნაზიებში გაუუქმებიათ ბერძნულის სწავლება, რადგან მსურველი არ აღმოჩენილა, რომ ეს ენა ესწავლა.

— 30 სეკდემბერს გამოაცხადა პეტერბურგის უნივერსიტეტმა თემები თხზულებათა დასაწერად და საჩუქართა მისაღებად. თხზულება უნდა დაიწეროს მერმის სეკდემბრამდე. საჩუქარის მიღება იქნება 1905 წლის დამდეგს, იანვარში.

— დედათა ინსტიტუტებში ამიერიდან ნება მიეცემათ შინაურ დამრიგებელის ადგილები დაიჭირონ იმათ, ვისაც პეტერბურგის უმაღლესი დედათა კურსები დაუმთავრებია.

— 2 ოქდომბერს დაიწყო პეტერბურგში საზოგადო განათლების ლექციების კითხვა სადამოობით ქალებისათვის. მღვდლის ვ. სმირნოვის გარდა, სხვა ყველა ლექტორები ქალები არიან.

---

# უცხოეთი

**ოსმალეთი.** ბულგარიისა და სერბიის გაზეთებში დაწვრილებითაა აღწერილი ქ. მეპოტიის (მაკედონიაშია) განადგურების შემზარავი ამბავი. ბულგარული გაზეთი „დღიური“ ამბობს:

„სეკდემბრის 14-ს ღამით, შეერთდნენ მეამბოხეთა რაზმები სამსახურს გარეშე მყოფ ბულგარელ პორუჩიკებისა კანაზიროვისა და ზოგრაფოვისა და ყუმბარების სროლით თავს დაესხნენ ქალ. მეპომიის ოსმალ მეციხოვნეთ. ყუმბარების ხმამ თავ-ზარი დასცა მეციხოვნეთ, რომელნიც გამოცვივდნენ ყაზარმებიდან და მიაშურეს ოსმალთა უბანს. მათს ხმაურობაზედ გაიღვიძეს ოსმალებმა და სასწრაფოდ აისხეს იარაღი. ერთმა მოხუცმა ოსმალმა ხმა-მაღლა განაცხადა,—დღეს ბულგართა უბანში რამდენიმე საეჭვო კაცი შევნიშნე და, ალბად, იგინი გვესვრიან ყუმბარებსაო. ამ მოხუცს თურმე იმ დღესვე ეცნობებინა პოლიციისათვის ეს ამბავი, მაგრამ არავითარი ყურადღება არ მიექციათ. პოლიციის ასეთმა ქცევამ ჯარი მეტად ააღელვა; ჟანდარმთა და ჯარის კაცთა ჩხუბი ეუვიდათ. ამ დროს ოსმალებს ვიღამაც ყუმბარა შესტყორცნა. ოსმალები შეკრთენ და აქეთ იქით დაიქსაქსნენ; მეამბოხენი დიდდევენ გაქცეულებს თოფის სროლით. საზარელმა ბრძოლამ მთელი ღამე გასტანა. ბოლოს ოსმალებმა მოახერხეს და ცეცხლი წაუკიდეს ბულგართა ორ უბანს; თავ-ზარ დაცემულნი მცხოვრებნი ქუჩებში გამოცვივდნენ; ოსმალები მიესივნენ და სულ ერთიანად ამოჟლიჟეს. ბევრნი თავიანთ სახლებშიაც დაიწვნენ. ამავე დროს მეამბოხენი მედგრად იბრძოდნენ“-ო.

ბელგრადის გაზ. „შტამპა“ ამ გვარად აღწერს მეპომიის განადგურებას:

„ქალაქი მეპმი, რომელშიაც სცხოვრობს 4.600 სლავიანი და 80 აზიიდგან გადმოსახლებული ოსმალი, მიწასთანაა გასწორებული. ეს ქალაქი ამ ჟამად რომ ნახოთ, მეორე პომპეა წარმოგიდგებათ თვალ-წინ. სეკდემბრის 15-ს ოსმალებმა შეპნიშნეს ქალაქში 7—8 მეამბოხე, რომელნიც, უეჭველია, სურსათის სასყიდლად იქნებოდნენ ჩამოსულნი. ცოტა ხანს უკან საზარელი საქმე მოჰხდა. ოსმალი მცხოვრებნი გაეცალნენ ქალაქს, რომელსაც მაშინათვე გარს ჯარი შემოერტყა და ზარბაზნების სროლა დაუწყო. ქალაქს ყოველის მხრით ცეცხლი მოედო და მისმა შუქმა მიდამოები გაანათა. შეშინებული მცხოვრებნი თავის საშველად ქალაქიდან გარბოდნენ, მაგრამ წინ ოსმალები ჰხვდებოდნენ და შეუბრალებლად ჰხოცავდნენ. თავზარდაცემულ მცხოვრებთა საზარელი წივილკივილი ქვასაც-კი აატირებდა. ქალაქის ქუჩები სავსეა დახოცილთა გვამებით. ამ ქალაქის ყველა მცხოვრები სლავიანები ოსმალთა თოფ-ხანჯლისა და ცეცხლის მსხვერპლნი შეიქმნენო“.

**საფრანგეთი.** გაზეთები დანამდვილებით ირწმუნებიან,—ის ხმა, ვითომ ბურჟუას განეზრახოს პალატის პრეზიდენტის თანამდებობიდან დაუყოვნებლივ გადადგომა, ტყუილიაო. ის-კი მართალია, რომ ბურჟუა მომავალს სესსიაზე სთხოვს თავის მეგობარ თანამოდასეთ, არამცა და არამც არ დაასახელონ კანდიდატად პრეზიდენტობაზედაო; მაგრამ მაინც იმედი აქვთ დაიყოლიონ და პრეზიდენტის კანდიდატობაზე დაითანხმონ.

**იაპონია.** გაზ. „მორნინგ პოსტ“-იც ადასტურებს იმ ხმას, რომ იაპონიამ ულტიმატუმით მიჰმართა რუსეთსაო, და ამ ამბავს ჩიფუდგან მოსულ ცნობებზედ ამყარებს.

გაზ. „ტან“-საც მოჰყავს ეს ამბავი და თავის მხრით დასძენს.

„ახლა შეგვიძლია, დაახლოვებით მაინც, გამოვარკვიოთ რუსეთის გეგმა. ყველასათვის ცხადია. რომ რუსნი მოწადინებულნი არიან მანჯურიაც დაიმკვიდრონ და კორეიაზედაც ხელი აღებინონ იაპონელებს. ადმირალი ალექსეევი და მისი მახლობელნი, ალბად, დარწმუნებულნი არიან, რომ იაპონიას იმედი არა აქვს ინგლისის დახმარებისა და ამიტომ ომს არ ასტეხს. რუსეთის საზღვარ-გარეთ მყოფნი წარმომადგენელნიც ისე დამშვიდებით მსჯელობენ ამ საქმეზედ, რომ პე-

---

# ფელეტონი

## ჰო, თუ არა?!.

ვუძღვნი „ო—ი“-ს

ისევ... ისევ ეჭვი ქურდი
ჩუმათ გულში შეიპარა,
აზრთა ძაფი შემიწყვიტა
და კვლავ მკითხა: ჰო, თუ არა?

—

თუ მზათა ხარ, მტერთან ბრძოლის
შეალიო შენი ძალი,—
მაშ, რა სდგეხარ ერთ ადგილას
უიმედო და მღირალი?!.

—

რათ არ იბრძვი? ან იქნება
აღარ გიძგერს ძველებრ გული?!.
ან იქნებ მტერს ურიგდები
მონურ გრძნობით გამსჭვალული?!.

—

—არა, არა. ზეცას ვფიცავ,
ჩემი რწმენა არ გამქრალა—
არც შევდრკები, თუნდ ამხედრდეს
ჯოჯოხეთის ჩემზედ ძალა.

—

მაგრამ თუ გულს ბედშავი რამ
გრძნობა თავზე დასტრიალებს,—
ეგ იმიტომ, რომ მე ეჭვი
შევამჩნიე სატრფოს თვალებს...

—

შედრკა ძაფი უჩინარი
იმ თვალებს და ჩემს გულს შუა.
კვნესით მივხვდი, რომ ცამ ერთხელ
კიდევ მწარედ მომატყუა.

—

ბრძოლის ველზე შეჩერებულს
იმედები ჩამიმწარა;
მიტომაა, რომ ვერ მითქვამს
მე ვერც „ჰო“ და ვერცა „არა“.

გარიყული.

29 სეკდემბერი.
1903 წ.

—

ცა გვრგვინავდა, ცა ჰქუხდა,
ცა ჰკრულავდა ქვეყანას,
შავ-ფიქრთ გროვა, გულის წყლულს,
ეუბნებოდა ნანას.
არსად სჩანდა ვარსკვლავი,
მთვარე ღრუბელს ეფარა;
ხალხის ბედნიერება,
ბოროტ სულს მოეპარა
მიყვარხარ, ცავ, მქუხარევ,
ნისლ-ბურუსით მოცულო...
დაიქექე, იელვე,
ჯოჯოხეთისა სულო,
გვრგვინვა-ქუხილის შემდეგ
ბევრჯელ დამდგარა დარი...
ზოგი უბედურება
ბედნიერება არი.

ბ. ახოსპირელი.

—

## ნუ მეჩვენები.

ნუ მეჩვენები აგრე კეკლუცად!
რად გსურს მომხიბლო მე, უბედური?
შენით ვარ დღემდის სასჯელში მყოფი
და შენვე გეტრფი აღელვებული!

—

ოთხჯელ რომ იცვლი ტურფა სამოსელს
და ყველა ერთად გამკობს და გშვენის
ჩემი გრძნობებიც ოთხჯერვე ერთად
გეალერსება, გეტრფის, გიმღერის.

—

აი თუნდ ახლა შენ, მშვენიერო,
უძლური გული აამღელვარე;
რა სამკაულით მეკეკლუცები,
როს წამოისხი მანტია მწვანე!

—

ათას ფეროვნად აყვავებული
ეგე გულ მკერდი რომ გაიშალე!
იშიკთ მოწამე თავ მოწონებით
უხვად შუქსა გფენს—ამაყი მთვარე.

—

მეც უცნაურსა მიმეც ოცნებას,
დავსტკბი გულითა და გავიხარე;
ხან თაყვანივეც შენსა შვენებას,
ხან სიამოვნის ცრემლები ვღვარე.

—

გულს შთადებული სევდა, ნაღველი
ველარ დავფარე, აწ გავამჟღავნე.
ვერ მოგშორდები, მიწამე სატრფოდ,
შენთან მამყოფე, შენ გენაცვალე!

—

შენზედ ავიდგი ენა ბედკრულმან,
შენზედ ვაჟღერე სიმები ჩანგის,
შენ შთამაგონე ჰანგები ტკბილი,
ცრემლით მორეცხა მასწავლე ჟანგას!

—

შენსა ალერსში მსურს გავეხვიო,
შენსა მეგობრად შენ შემიწყნარე;
ცოცხალი მარად შენთან მამყოფე
და მკვდარს ოხერსა შენ მესამარე.

კნ. ნინო ორბელიანისა.

—

## ვუძღვნი რუს-იმერელს.

დიდი ხანი, რაც არ სმენია
ყურს შენი ტკბილი ჩანგისა ჟღერა,
ბევრ-გზის დატანჯულს გულს ენატრება
კვლავ გაიგონოს შენი სიმღერა.

—

რამ გაგაჩუმა? რა მწუხარება
დაეპატრონა შენს კეთილს გულსა?
ეგებ დასტირი საბრალო ობოლს,
დედინაცვლისგან დამონებულსა?

—

ან ეგებ ეტრფი გატაცებული
შენსა საყვარელ სამშობლო მხარეს,
სადაც გწყურიან, განშორდე სულსა
და მიებარო ცივსა სამარეს?

—

ან ისევ სასო-წარკვეთილებით
ისმენ რა ხალხის ბჭობა-სამართალს,
ცრემლებს ღვრი, რადგან ვერ გაგიგია,
ვის დაუჯერო, ვინ ამბობს მართალს!

—

ან ეგებ უცქერ ლომს დატყვევებულს,
რკინის გალიას გამომწყვდეულსა,
ვისაც ვერას გზით ვერ გაუტეხენ
შეუდრეკელსა, გმირულსა გულსა.

—

და უცდი იმ დროს, როცა აიშვებს,
რკინის გალიას მილეწ-მოლეწავს,
გმირი უბადლო უწინდებურად
ნადირთა მეფედ იგრძნობს თავის თავს,

—

რომ მაშინ მხოლოდ კვლავ შენებურად
მომართო შენი ჩანგისა სიმნი,
რათა მიუძღვნა მას, გამარჯვებულს,
შესაფერისი ქებისა ჰიმნი?!

ანასტასია იურკევიჩი.

—

## ბახმაროს მთა *).

რად დაგიბურავს ნისლითა თავი,
ჩემის სამშობლოს მთაო ბახმარო, **)
შენსა სიმშვენეს რად არ გვაჩვენებ,
როდემდის უნდა იგი დაჰფარო?
დრო არის, მგონი, გარდაიწმინდო
და ბნელი ნისლი გარდაიყარო,
ტყევ ურეკელო, მთაო ამაყო,
ფოთოლთ შრიალი ყურში მახარო!
გარდაიწმინდო, გამოიდარო,
შენისა ცქერით დამიტკბო თვალი,
და გარდმოუშვა ალმასივით
შენი მჩქეფარე, დუდუნა წყალი!
მით გაალვიძო მიძინებული
სალათას ძილით გამხმარი მდელო,
და გააცოცხლო მით მცენარენი,
დრო არის, მგონი, წყალი აშველო...
გამოიღვიძე, გამოიღვიძე,
გარდაიყარე შავი ღრუბელი,
მეც გამამხნევე და შენც გამხნევდი
და მოიშორე უკუნი ბნელი!
ეგრე მოიქეც, ჩემის სამშობლოს
ჩემო ლამაზო, მთაო ბახმარო,
შენ გადიწმინდე, მე გამამხნევე,
რომ მწვავი ფიქრი უკუ ვიყარო.
თუ საჭირო ვარ მეც არ დამზოგო,
ვით შენი შვილი გთხოვ მომიხმარო...

ნ. ივანოვი.

*) ვბეჭდავთ ამ ლექსსაც იმიტომ უფრო რომ დაწერილია თითქმის სრულიად უსწავლელ გურიაში დასახლებულ რუსთაგანის მიერ. რედ.

**) საგარაკო მთა გურიაში.

ტერბურგშიაც ამავე აზრისა უნდა იყვნენო.

თუ იაპონელების დასამშვიდებლად საჭირო შეიქნა მცირეოდენ რისამე დათმობა, რუსეთი აღარ გამოუდგება წვრილმანებს და დააკმაყოფილებს მათს მოთხოვნილებას, მხოლოდ ეს თავაზი იქნება და არა ომის შიშით გამოწვეული დათმობა. ამ გვარი ორჭოფობა საფრთხილოა და ადვილად შეუძლია ომის გამოწვევა. ადვილი არაა ზედ საზღვარზედ შეჩერება. მხოლოდ, თუ გეგმა განხორციელდა, უეჭველია, რუსეთი დაირჩენს პირველობას შორეულ აღმოსავლეთში.

გაზ. «მორნიგ პოსტ.»-ი იმასაც იუწყება, რომ ჩიფუში მყოფი რუსები საომრად ემზადებიან, რადგან იაპონელნი მკვიდრნი მეტად აღელვებულნი არიან და ჰშიშობენ, თავს არ დაგვესხანო.

— გაზ. „ასახი შიბუნ“-ის სიტყვით, მანჯურიის გამო ცილობა თან-და-თან ძლიერდება. ყველას მოჰბეზრდა ხმები რუსეთისა და იაპონიის შეტაკების შესახებ. რუსეთის საფინანსო პოლიტიკის ცდა ხელთ ეგდო აღმოსავლეთის ნაწარმოებთა მონოპოლია, უნაყოფოდ დარჩა, რადგან არც ფული აქვთ, არც მუშა ჰყავთ და არც ქვა-ნახშირი, გასაზიდ საქონელს ყოველთვის გადააჭარბებს შესაზიდი. სრულიად სხვა გარემოებაშია ჩვენი იმპერია: მცხოვრებთა სიჭარბემ, მუშათა სიიაფემ და დიდძალმა დამზადებულმა ნაწარმოებმა უეჭველად უნდა გაიკაფოს გზა ჩრდილოეთ ჩინეთისაკენ.

სამხრეთი ნაწილი ჩინეთისა ინგლისელთა ხელშია: რაც ხეირიანი ქალაქია ზღვის პირად, სულ ინგლისის ნაწარმოებითაა სავსე; ინგლისს ისე მკვიდრადა აქვს ფეხი გადგმული იმ ადგილებში, რომ მათთან ბრძოლა უნაყოფო იქნება. მანჯურია-კი ჯერ სულ ხელ უხლები, ნედლი მასალაა, რომელსაც არ შეჰხებია თანამედროვე მრეწველობის თენგი, არც საქარხნო და არც სამეურნეო. არც რუსეთის გვეშინია, რადგან იმაზედ უფრო საშიში მეზობელი გვყავს — ამერიკა, როგორც ჩვენის აღებ-მიცემობისა და მრეწველობის მეტოქე. ჩვენი პოლიტიკა მოითხოვს, რომ დაცულ იქმნას მთლიანობა და დამოუკიდებლობა ჩინეთის იმპერიისა. ჩვენ მხოლოდ ჩინეთის სავაჭრო კარები უნდა შევაღოთ და რამდენიმე ათასი ოჯახი გადავასახლოთ იაპონიიდგან, მაგრამ... უმახვილოდ ამ განზრახვის განხორციელება, სამწუხაროდ, შეუძლებელია.

რუსეთმა რკინის გზის ლიანდაგის ქსელი გააბა მანჯურიაში, ააგო ქალაქები, ხელი შეუწყო აღებ-მიცემობის განვითარებას, მაგრამ ამასთანავე დიდძალი მხედრობაც ჩააყენა შიგა და ამ გვარად შეჰზღუდა ჩვენი მისწრაფებანი. ამ ჟამად მანჯურიაში 5,000-მდეა იაპონელი, მაგრამ ოფიციალურად არ: ეს ცნობილი. გარდა ამისა, აგერ 30 წელიწადია, რაც ოხოტსკის ზღვის მეთევზეობა ჩვენ ხელშია, მაგრამ რუსეთი მრეწველობის ამ დარგის შეზღუდვასაც გვიქადის, თუმცა თვით არა სარგებლობს. ჩვენს მთავრობას მუდამ თვალწინ უნდა ჰქონდეს, რომ მცხოვრებთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს და იმპერიის საზღვრები-კი ძველივე რჩება. ჩვენი საზღვაო მხედრობა ამ ჟამად განვითარების უმაღლეს წერტილზეა და თამამად შეუძლიან ყოველ დიდ სახელმწიფოს გაუმკლავდეს აღმოსავლეთში; მაშასადამე, დროა შევეცადოთ მომავლისათვის და მოვუმზადოთ ჩვენს ხალხს თავშესაფარი“.

---

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** გუშინ-წინ, 5 ოკდომბერს, სათავად-აზნაურო თეატრში ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებმა წარმოადგინეს «პატარა კახი», პოემა-დრამა აკაკისა. თუმცა მონაწილეობას იღებდნენ, მომეტებულ ნაწილად, ახალი არტისტები, მაგრამ წარმოდგენამ ძალიან მწყობრად ჩაიარა. ამ ნაირად «პატარა კახი» დადგმული ჯერ არ გვინახავს. ახალგაზდა არტისტები სწორედ რომ ერთიერთმანერთსა სჯობდნენ. მეტადრე თავი იჩინა ბ-ნმა შალიკაშვილმა (გივი) და ბ-ნმა გვარაძემ (პატარა კახი). ნამსახურ და დახელოვნებულ არტისტებს ხომ ქება არ უნდათ: ბ-ნმა გამყრელიძემ ბრმა გელას როლი ისეთის გრძნობით შეასრულა, რომ მრავალი მაყურებელი აატირა. ჩვეულებრივად დარბაისლურად და მოფიქრებით წარმოადგინა ბ-ნმა გედევანოვმა ომში დაჭრილ ცალფეხა სარდლის როლი. კარგი იყო ბ ნი ივანიძე მოხუც მეფე თეიმურაზის როლში. ქ-ნი გამყრელიძისა უკეთესად გამოჩნდებოდა დედოფლის როლში, ხანში შესულ ადამიანის გრიმი რო გაეკეთებინა; ისე-კი, მეფესთან შედარებით, ახალგაზდას წარმოადგენდა; ამას გარდა, რაღაც ჩაჩი ედგა, გვირგვინის მაგიერ და ძლიერ აუშნოვებდა.

სცენა კარგად იყო მოწყობილი, მეფის დარბაზის გარდა სამეფო ტახტს ხალიჩა რომ ეფაროს, წითელ მაუდის მაგიერ, ვგონებ, უმჯობესი იყოს.

თეატრი სავსე იყო მაყურებლებით, რომელნიც განცვიფრებულნი იყვნენ და ახალ არტისტების თამაშობას აღტაცებაში მოჰყავდა. ყველას სასიამოვნოდ დარჩა, რომ ჩვენს სცენას ახალი ნიჭიერი არტისტები მოემატა. თეატრის რეჟისორი პოეტ-დრამატურგი აკაკი საზოგადოებამ რამდენჯერმე გამოიხმო სცენაზედ და დიდის აღტაცებით მიიღო.

---

**სახალხო თეატრი.** შაბათს საღამოს, ამ თვის 4-ს წარმოადგინეს ორი პიესა „პარიჟელი ბიჭი“ და „დედის ერთა“; ეს მეორე წარმოდგენა იყო ამ სეზონში. მონაწილეობას იღებდნენ ქართულ დრამატიულ საზოგადოების მსახიობნი: ქ-ნი ე. ჩერქეზიშვილისა, ტ. აბაშიძისა და კ. ყიფიანი. სხვათა შორის თამაშობდნენ ავჭალის თეატრის მოყვარულნი: ბ-ნი ჯაფარიძე (ამედეი), თამარ ჯიჯავაძე (ელიზა) ნ. გოცირიძე (ბიზო). „პარიჟელი ბიჭი“ საუცხოვოდ ჩაატარეს ყველა მოთამაშეებმა. სასიხარულოა და სასიამოვნოა, რომ სახალხო წარმოდგენაში მონაწილეობას იღებს ჩვენი ინტელიგენცია — ქალი, თუ კაცი. იმედია, რომ ბ-ნ ჯაფარიძის და თ. ჯიჯავაძის საუცხოვო მაგალითს სხვა ინტელიგენტებიც მიჰბაძვენ და ამ ფრიად დიდ მნიშვნელოვანს საქმეს, როგორიც არის სახალხო წარმოდგენების რიგიანად მოწყობა, წინ წასწევენ და ნამდვილს სულიერს საზრდოს მიაწოდებენ ხალხსა. იმედია ამისი იმიტომ, რომ ამ საქმეს სათავეში ღირსეულნი და მასთან ბეჯითნი მეთაურნი უდგანან.

არ მეგონა, თუ იმისთანა ძნელს ვოდევილს, როგორიც არის „დედის ერთა“ ასე ლაზათიანად ითამაშებდნენ, როგორც 4-ს ოკდომბერს საღამოს ითამაშეს. ოთამის როლს ასრულებდა ბ-ნი რომანიშვილი, თაფლოსას — ახალგაზდა ქალი ქუმსიშვილისა. უნდა მოგახსენოთ, რომ სწორედ დაგვატკბეს ამ ორმა მოთამაშემ. ოთამის როლი საუცხოვოდ და ორიგინალურად შეასრულა რ—მა. ჩვენი ახალი მსახიობნი უთუოდ ჰბაძავენ ვისმე: აბაშიძეს, შათირიშვილს, კ. ყიფიანს, ვლ. მესხიშვილს და სხ. მაგრამ ბ-ნ რომანიშვილს მიბაძვა არ ეტყობოდა. ახალგაზდა ქალმა ქუმსიაშვილისამ ხომ ყველანი გააკვირვა; სცენაზედ პირველად არის ეს ქალი, მაგრამ ისე ეჭირა თავი, როგორც გამოცდილს მსახიობსა; მიხვრა-მოხვრა, დიქცია, დროზედ სიცილი და გაოცება ყველა ეს სავსებით გადმოგვცა ამ ახალგაზდა ქალმა. უეჭველია, ეს ქალი თავის დროზედ ჩვენის თეატრისათვის ძალიან სასარგებლო შეიქმნება.

ამისთანა ნიჭიერს მსახიობებს უნდა გზის მაჩვენებელი, მცოდნე რეჟისორი. როგორც შევიტყე, ქართულ წარმოდგენების რეჟისორად სახალხო თეატრში აურჩევიათ ბ-ნი გ. ანანიაშვილი. იმედი გვაქვს, ანანიაშვილი ენერგიულად მოეკიდება თავის ახალს მოვალეობას.

---

**რუსული დრამა.** მაქსიმ გორკის დრამატიული ნაწარმოებია: „ფსკერზე“ მოგაგონებთ ისეთს ნახატს, რომელზედაც მრავალი გამოსახულებაა ადამიანისა, თუ ბუნების სხვა ნაკვეთთა, ერთის დედა აზრის გამოსათქმელად, მაგრამ, რადგანაც მხატვარს ვერ გაუერთიანებია ეს სხვადა-სხვა ნაკვეთი, სწორედ ამის გამო ის დედა-აზრიც არა სჩანს, თუმცა თითოეული ფიგურა, თავისთავად, დასრულებულია, მარტივად გამოკვეთილი.

მაქსიმ გორკის პიესაში არ არის დრამატიული ინტრიგა, რომელიც უნდა სულს უდგამდეს თითოეულ მომქმედს და ყველას-კი აერთებდეს ზოგადის ძაფით.

სამაგიეროდ ის მომქმედნი, რომელნიც გორკის გამოჰყავს სცენაზე, იმდენად ცოცხლად არიან დასურათებულნი, რომ თითოეული მათგანი სრული ტიპია; თითოეულის ცხოვრების შესახებ შეიძლებოდა დაწერილიყო საკუთარი დრამა, იმდენი რამ უგვრძნია და გამოუცდია ყოველს მათგანს, ვიდრე ამ ფსკერამდე მიაღწევდა. ნამდვილი, სულის აღმძვრელი დრამა მათ წარსულშია და არა აწმყოში ანუ მომავალში. აწმყოს ისინი არ ებრძვიან და სწორედ ამიტომაც ვერც მომავალს მოიმზადებენ.

ცალკე ტიპებთან ერთად ამ ნაწარმოებში მრავლად შეხვდებით ნაწყვეტ-ნაწყვეტ აზრებს, რომელთა ზოგადი მიმართულება ნიცშესებურია. ყველა ის, რასაც სინიდისი, პატიოსნება, სიბრალული, სიყვარული ეწოდება, — მასხარად არის აგდებული, რადგანაც არც ერთ მათგანს არა სწამს, რომ ქვეყნად არსებობდეს ან ერთი, ან მეორე ან მესამე. სამაგიეროდ აქ გაბატონებულია ის რწმენა, რომ კაცმა ისე უნდა იცხოვროს, როგორც იამება და არც არავის უნდა ჰქონდეს უფლება დაუშალოს ადამიანს, რაც უნდა, ის ჩაიდინოს. უმთავრესი გამომთქმელი ამ აზრებისა არის სატინი—, რომელიც არც-კი ჰმალავს თავის ზნეობრივ გახრწნილებას, თითქოს ამით თავი-კი მოსწონს. ამ საერთო ზნეობრივ წყვდიადში ბრწყინვალე შუქივით შეიჭრება ლუკას უცნაური ბუნება. რა არის ეს ლუკა, რის მომასწავებელია? ლუკა, ჩემის აზრით, დიდებულ მოძღვრის ცხოველი სიტყვაა, რომელიც ადამიანთ განხორციელებულა და ჰქმნის ქვეყნისათვის მადლს საქმით და არა მარტო სიტყვით, თუმცა ეს სიტყვაც ისე ბასრია და გულამდის მიმწვდომი, როგორაიაც თვით საქმე. როცა ლუკას ჰკითხავენ — რადა ხარ ასე კეთილი, — იგი უპასუხებს: იმიტომ, რომ ცხოვრებას ძალიუმათ უთელივარო. მხოლოდ ეს ასე არ არის. განა ყველა იქ მყოფი ლუკაზედ ნაკლებ არის ცხოვრებისაგან გათელილი, მაგრამ იმ ზომამდე ვერ ამაღლებულა სულით, როგორათაც ლუკა. არა, ლუკა ღვთის კაცია და ასრულებს კიდეც ღვთიურს ვალს მოყვასისადმი. ეს ღვთაებრივი ნათესი იმიტომ აყვავებულა ასე უხვად მასში, რომ თვით ნიადაგი ყოფილა ნაყოფიერი. ყველა კაცი — ამბობს ლუკა — თავისს ფასად ჰღირს, რაც უნდა უხეირო იყოსო. — მეორე ადგილას იგი ეუბნება ერთ-ერთ მომქმედ ქალს — ხშირად მოაგონე მაგას (საქმროს), რომ კარგი კაციაო — და ნუ თუ ყველა ეს თვალ-ნათლივად არ არის მსახველი, რომ ლუკა ქრისტიანულის იდეით არის გამსჭვალული, მხოლოდ უიმ ცრუ-მორწმუნეო და ყალბ დამატებით, რაც კაცობრიობამ ამ მოძღვრებას, თვის მსვლელობაში, შეაკეცა და თითქმის ბურუსში გაახვია უმთავრესი დედა-აზრი ამ მოძღვრებისა.

წარმოსადგენად და მოსაწყობად ეს პიესა გორკისა ძალიან ძნელია. მხოლოდ კრასოვის დასის სასახელოდ, უნდა ვთქვათ, რომ პიესა ჩინებულად წარმოადგინეს. საერთო ხმა შეწყობილ და მოხდენილ თამაშობაში, რომელშიაც თითოეული მსახიობი თავის ვალს პატიოსნურის გულ-მოდგინეობით ეწეოდა, — განსაკუთრებით ირჩევოდნენ ბ-ნნი რასატოვი (ლუკა), გარდინი (ბარონი) ნეჩატოვი (მსახიობი), უსპენსკი (კოსტილიოვი) და ქ-ნნი ტერეხოვისა (ნასტია) და ვოლოხოვისა (ნატაშა).

ჩემის აზრით, ბ-ნმა კრასოვმა თავისი როლი სატინისა ბ-ნ ნეჩატოვს უნდა გადასცეს და თითონ მსახიობის როლი ითამაშოს. ბ-ნი კრასოვი სატინის როლში დაშორებულია ცხოვრების სინამდვილეს და სატინის ხასიათი, ისედაც. ცოტა არ იყოს, გაზვიადებული, ცხოვრების ელფერ-ნაკლები, კრასოვის გადმოცემაში ერთი ორად უფერულდება. მსახიობის როლისათვის-კი კრასოვის დეკლამაციით სავსე კილო ზედ გამოჭრილი იქნება.

პიესის საერთოდ მშვენიერ მოწყობილებას ძალიან ხელს უშლის ის გარემოება, რომ მესამე მოქმედებაში უკანა კედლის საკიდელი მავთულები თვალნათლივადა სჩანს და ჰაერიც უფრო ფერადებით შეღებულ ფარდასა ჰგავს, ვიდრე ჰაერს.

გორკის პიესამ მაყურებლებზედ ძლიერი გავლენა იქონია და იმედია, რომ საზოგადოება არა ერთხელ და ორჯერ ისევე მრავლად დაესწრება ამ პიესის წარმოდგენას, როგორც შაბათს იყო.

---

კვირას კრასოვის დასმა წარმოადგინა ალექსი ტოლსტოის ისტორიული ხრონიკა-ტრაგედია „სიკვდილი იოანე მრისხანისა.“ ეს დრამა კარგად არის მოწყობილი და მსახიობნიც კარგად თამაშობენ, განსაკუთრებით ბ-ნნი რასატოვი (იოანე მრისხანე), გარდინი (ბორის გოდუნოვი) და ბ-ნი ნეჩატოვი (ნიკიტა ზახარინი). ამ წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო.

---

**რუსული ოპერა.** შაბათს, 4 ოკდომბერს, სახაზინო თეატრში წარმოადგინეს გუნოს უკვდავი ქმნილება — ოპერა „ფაუსტი“ ვალპურგის ღამით. ოპერაში უმთავრეს პარტიას მღეროდა ბ-ნი ნ. ნ. ფიგნერი. ეს საღამო განსაკუთრებით ფიგნერისათვის ნამდვილი ტრიუმფი იყო. სიმღერითაც კარგად მღეროდა და თამაშობით ხომ საუცხოვოდ თამაშობდა.

რამდენადაც საუცხოვო და შეუდარებელი ფაუსტი იყო ფიგნერი, იმდენად სუსტი იყო ბ-ნი სანგურსკი, რომელიც მეფისტოფელის პარტიასა ჰმღეროდა. მეფისტოფელის პარტია ფაუსტის პარტიაზედ უფრო ძნელია და, საცა სამართალია, ოპერაში უმთავრეს პარტიად მეფისტოფელის პარტია უნდა ითვლებოდეს. ბ-ნ სანგურსკის ნაკლებად შესწევს ძალ-ღონე ასეთის პარტიის სასიმღეროდ. მის ხმას დაბალ ფარდებში კიდევ არა უჭირს-რა, ხოლო მაღალ ფარდებში სრულიად იკარგება. თამაშობით ბ-ნი სანგურსკი კარგად თამაშობს.

არა უშავდა-რა ბ ნს გლადკოვს (ვალენტინი); როგორც შევნიშნე, მაღალ ფარდებში მკვეთრი ხმა აქვს. კარგად იმღერა არია „Богъ всесильный“.

ქ-ნმა კალინინამ ზიბელის პარტია ხელოვნებით ჩაატარა; განსაკუთრებით მეორე მოქმედებაში კარგად იმღერა არია „Разскажите мнѣ, цвѣты мои“... არა უშავდარა ქ-ნ ლელინას, რომელიც მართას პარტიასა ჰმღეროდა.

ცოტა რამ მარგარიტას პარტიის აღმსრულებელის (ქ-ნი არციბაშევისა) შესახებ. ამ ახალგაზდა მსახიობ ქალს მშვენიერი ხმა აქვს, მაგრამ ჯერ კიდევ განუვითარებელი. მაღალ ფარდებში მისი ხმა თავისუფლად ტრიალებს, მხოლოდ, როცა მაღლიდგან დაბალ ნოტებზედ გადადის, უფერულობა ეტყობა; ქ-ნი არციბაშევისა ჯერ სრულიად ხალგაზდაა და ეს მეორე სეზონია, რაც საოპერო დასში მღერის. აკლია სკოლა და ეს ნაკლიც რომ შეივსოს, საუცხოვო მარგარიტა იქნება.

ბ-ნი ესპოზიტო ჩვეულებრივის ხელოვნებით დირიჟორობდა ოპერას. მისის დირიჟორობით ორკესტრი ყოველთვის საუცხოვოდ ასრულებს თავის მოვალეობას, ხოლო კარგად გაწრთვნილი და მწყობრია.

„ფაუსტი“ საუცხოვოდ იყო დადგმული: მშვენიერი დეკორაციები, კარგად მორთული სცენა და სხვ. ბევრჯელ გვინახავს „ფაუსტი“, მაგრამ ასე საუცხოვოდ დადგმული სცენის მოწყობის მხრივ-კი არასოდეს.

თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით.

---

**ქ. ოზურგეთი.** ოთხშაბათს, 1 ოკდომბერს, ჩვენს საზაფხულო თეატრში აქაურმა დასმა გამართა მეცხრე, უკანასკნელი წარმოდგენა. ითამაშეს „დასჯილი“, დ. აწყურელისა და „რაც არ მერგება, არც შემერგება„ ვ. გუნიასი. მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი ე. წუწუნავა, დ. ჩიგოგიძისა, კ. ხურციძე; ბ-ნნი ა. წუწუნავა, ვ. უწყინარიძე, ვ. დუმბაძე, კ. ბებურიშვილი, ს. ხურციძე და სალუქვაძე. წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა, თითქმის ყველამ რიგიანად იცოდა თავისი როლი. უკანასკნელ მოქმედებაში, როცა ნიკო თავის ცოლს ელაპარაკება, პარტერიდან შუა სცენაზე „წკეპა მოადინა“ ერთ ფინიამ და დაუწყო ლაქუცი ხან ერთს და ხან მეორეს, რამაც საზოგადოებაში დაუსრულებელი სიცილი გამოიწვია.

წარმოდგენის დასასრულ გაიმართა დივერტისმენტი. ვ. უწყინარიძემ წაიკითხა რამდენიმე სცენა; ბ. დ. ქ—ძემ დაუკრა ჩონგური, რომელიც ძალიან მოეწონა საზოგადოებას.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ქ-ნი ე. წუწუნავა კარგად ასრულებს ცქრიალა ქალების როლს და მოსამსახურებისას, მხოლოდ ყოველთვის მეტად ჩქარობს ლაპარაკში; ხანდისხან თითქმის ვერც გაიგებ, რას ამბობს. ქ-ნი კ. ხურციძე საშუალო ხნის ქალების როლს ასრულებს, ხან მოხუცისასაც, მაგრამ სცენაზე თავის დაჭერა ვერ იცის კარგად, ხანდისხან მოხდება ხოლმე, რომ მას ელაპარაკებიან, ან იქვე სცენაზე ხდება რაიმე სამწუხარო ან სასაცილო და ის-კი, თითქოს აქ არაფერიაო, გაიყურება სადღაც. ქ-ნი დ. ჩიგოგიძისა ასრულებს მოხუცის ქალების როლებს და ხანდიხან ფრაზების გაუგებრად განაწილება იცის.

ბ-ნი კ. ბებურიშვილი დრამატიულ როლებს კარგად ასრულებს. ბ-ნი ს. ხურციძე ასრულებს სომხისა და მოსამსახურე ბიჭების როლებს... მაგრამ რა როლშიც უნდა თამაშობდეს, ყოველთვის ასე იქცევა: რამდენ წინადადებასაც იტყვის, იმდენჯერ ორივე ხელებს გულზე მიიტანს.

რაც შეეხება ბ-ნ ა. წუწუნავას და ვ. უწყინარიძეს, ამათ თამაშობის შესახებ არას ვიტყვით, ვაი თუ იწყინონ და სთქვან, ჩვენ რეცენზენტისაგან არა გვესწავლება-რაო.

მხიარულიძე.

---

## „ივერიის“ ფოსტა

**ს. მინაშვილს.** თქვენი ლექსი „ქარი“ არ დაიბეჭდება.

**ფოთი. გ. ქ—ას.** თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 ოკდომბერი.

**სოფია.** ქალაქის საბჭომ დაადგინა სოფიის დიდ მოედანზე გენერალ იგნატიევის ბიუსტი დაიდგას; ოლქის საბჭომაც 5 ათასი ფრანკი გადასდო ამ საქმისათვის.

**ჩიფუ.** ნიუ-ჩვანის რუსმა გუბერნატორმა წინადადება წარადგინა, სათემო საბჭო დაავარსოთო. საბჭოში, სხვათა შორის, ორი ინგლისელი იქნება წევრად და ერთი ამერიკელი. საბჭოს ყველა დადგენილება გუბერნატორმა უნდა დაამტკიცოს.

**ბუდაპეშტი.** პელეშის ციხე-დარბაზში რუმინიის პრინცი ნიკოლოზი მონათლეს. ხელმწიფე-იმპერატორის სახელით ნათლიად გენერალ-ადიუტანტი დოლგორუკოვი იყო.

**ლონდონი.** დღეს ლურჯ წიგნში ბალკანეთში მომხდარ ამბების თაობაზე მიწერ-მოწერა გამოაცხადეს. ლანსდოუნმა 6 სეკდემბერს შეატყობინა ავსტრია-ჰუნგრეთის ელჩს, ინგლისის მთავრობა რუსეთისა და ავსტრია უნგრეთის რეფორმების პროექტს დახმარებას გაუწევსო და ინგლისი არც ოსმალეთსა და არც ბოლგარიას არაფერ იმედს არ აძლევსო; თუ ეს სახელმწიფოები რეფორმების ასრულებას წინააღმდეგობას გაუწევენ, ინგლისის დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდეთო. 16 სეკდემბერს ლანსდოუნმა ინგლისის ელჩს ვენაში დეპეშა გაუგზავნა, ლამსდორფის ვენაში ყოფნით ისარგებლეო და ავსტრიასა და რუსეთს წინადადება მიეცით, რომ მაკედონიაში უფრო ფართო რეფორმები მოახდინონო. 22 სეკდემბერს რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩებმა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს გოლუხოვსკისა და ლამსდორფის დეპეშების შინაარსი შეატყობინეს. ამ დეპეშებში სიხარულია გამოთქმული იმის გამო, რომ ბრიტანიის მთავრობის წინადადება რუსეთისა და ავსტრია-ჰუნგრეთის მთავრობის გადაწყვეტილებას ეთანხმებაო.

**მოსკოვი.** საერობო კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ ქალებსაც მიეცეთ საარჩევნო უფლება, აგრეთვე უფლება არჩეულ იქმნან ხმოსნებად. საარჩევნო საადგილ-მამულო ცენზი წინანდელი დასტოვეს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ცენზი შემოსავლის კვალობაზე იყოს და არა ფონების ღირებულობაზე.

**პარიჟი.** გარეშე საქმეთა მინისტრ დელკასეს სადილად ეწვივნენ იტალიის მეფე-დედოფალი და პრეზიდენტი მეუღლითურთ.

**მალმიჟი.** საერობო კრება შუამდგომლობს, დაწესდეს ნორმა ცენზისა საერობო გადასახადების რაოდენობის კვალობაზე და მიეცეს გლეხებს თანასწორი უფლება.

**რიაზანი.** საერობო კრებამ დაადგინა დააწესონ აგრონომის თანამდებობა და დაწვრილებით კამოიძიონ მთელი მაზრის ეკონომიური მდგომარეობა, აგრეთვე გამართონ საცდელი მინდვრები საქონლის საკვებ კულტურულ მცენარეულობისა.

**ტვერი.** გემების მოძრაობა შეჩერდა.

**ტამბოვი.** კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ, რათა საარჩევნო ცენზი შემცირდეს ას დესეტინამდე; იმათთვის-კი, ვისაც საშუალო და უმაღლესი განათლება მიუღია — 50 დესეტინამდე. ამომრჩევლები, განურჩევლად წოდებისა, იკრიბებოდნენ ერთს კრებაზე და გლეხ ხმოსანთა რიცხვი გლეხების მიწის რაოდენობას შეუფარდეს.

**ბირსკი.** საერობო კრებამ სურვილი გამოსთქვა საარჩევნო კრებებში წოდებას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ყველასათვის ერთნაირი ცენზი დაწესდეს, გლეხთა ხმოსნების რიცხვს მოემატოს, ქალებს აქტიური საარჩევნო უფლება მიენიჭოთ და საგუბერნიო კრების ხმოსანთა რიცხვს მოემატოსო.

**ყაზანი.** სამაზრო საერობო კრებამ დაადგინა, ქალებს საარჩევნო კრებაში მონაწილეობის მიღების უფლება მიეცეთო.

**უფა.** დღეს, ნაშუადღევის 1 საათზე, სასამართლოს სადგომში, სასამართლოს თავმჯდომარე პემლიაკი რევოლვერით მოჰკლეს. მკვლელმა, ნაფიც ვექილის თანაშემწემ პოკროვსკიმ, იქვე თავი მოიკლა.

**პეტერბურგი.** პეტერბურგ-ვარშავის რკინის გზაზე 3 ოკდომბერს, როცა მატარებელი პიტალოვოს სადგურზე მოვიდა, აღმოჩნდა, რომ ვიღაც ბოროტ-მოქმედებს ბარგის ვაგონში ორი ბარგის კონდუქტორი დაეჭრათ და შეეკრათ, კასიდან ფული მოეტაცნათ და ბარგი გაეტაცნათ. ბოროტ-მოქმედები, 10-მდე იქნებოდნენ, სადგურებ პიტალოვოსა და პონდერს შუა მატარებელში აცვივდნენ და, როცა მატარებელი პიტალოვის სადგურზედ მივიდა, გადახტნენ და ტყეში დაიმალნენ.

5 ოკდომბერი.

**ბიტოლია.** როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, სარაფოვი-კი არ არის მოკლული, არამედ იმისი ნათესავი.

**ბელგრადი.** ის ხმები, ვითომც წელს მეფე აპირებდეს უცხო სახელმწიფოებში მოგზაურობას, ტყუილია.

**სალონიკი.** გასულ ღამეს სამხედრო მატარებლის ლოკომოტივი, რომელიც კილინდირში მიდიოდა, ბულგარელებმა ააფეთქეს. მატარებელი უვნებლად გადარჩა.

**კურსკი.** დააარსეს საპოლიციო დარაჯთა სკოლა.

**ბრიუსელი.** შაქრის მუდმივ კომისიას მსჯელობა ჰქონდა, შეეცვალოს საბოლოოდ რუსეთის შაქარზე დროებით მიღებული ბაჟიო, მაგრამ ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია.

**კუზნეცკი.** საერობო კრებამ დაადგინა, რათა ხელ-მისაწდომი გავხადოთ ყველასთვის პირველ-დაწყებითი სწავლება, იკისროს ერობამ აშენება და მოწყობა სკოლებისა და დააარსოს 10 წლის განმავლობაში 35 სკოლა.

**კალუგა.** მეშჩოვსკის საერობო კრებამ დაადგინა, ხელმწიფე განმათავისუფლებელის სამახსოვროდ გადასდონ ყოველ წლიურად 500 მანეთი მეშჩოვსკაში სახელოსნო სკოლის ასაშენებლად და მაზრაში იმპერატორ ალექსანდრე მეორის სახელობაზე სახალხო სკოლების დასაარსებლად.

**ტოკიო.** იაპონიის მუშები პორტ-არტურის დოკებიდან დაითხოვეს. მანჯურიიდან ბევრი გადასახლდა. აქ სიწყნარეა გამეფებული.

**ვენა.** ბელგიის მეფე მოვიდა.

**ბელგრადი.** საადრესო პროექტი სკუპშჩინისა მიიღეს უკანასკნელად იმ შესწორებით, რომელიც დეპუტატმა ჟივკევიჩმა მოითხოვა. ეს შესწორება ეხება იმ ადგილს, სადაც 29 მაისის ამბავია აღნიშნული. ის პარაგრაფი, რომელიც ჯარს ეხება, ასეთია: „ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ გავიგონეთ მის უდიდებულესობის ბაგეთაგან მტკიცე რწმენა, რომ სერბიის ჯარს ღირსეულად უჭირავს თავისი დროშა და მტკიცედ ადგია თავის მოწოდებას. სკუპშჩინა დარწმუნებულია, რომ ჯარი, შეკავშირებული ძმურის გრძნობით და შეერთებული ტახტის წინაშე წესიერებისა და კანონიერების დასაცველად, სერბიის უდიდებულეს სამხედრო გენიოსის შვილის-შვილის ხელმძღვანელობით, გაამართლებს მეფისა და ქვეყნის იმედს.

**მოსკოვი.** ნაფიც მსაჯულებმა ჯამგაროვის მკვლელი ნინასიანცი დამნაშავედ იცნეს და ათის წლით კატორღა გადაუწყვიტეს.

**პეტერბურგი.** გამოქვეყნებულია, უმაღლესის ბრძანებით, შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული კომიტეტის დებულება.

6 ოკდომბერი.

**პეტერბურგი.** 5 ოკდომბერს აარდგ . ცვალა ცნობილი არტისტი ქალი სტრეპეტოვისა.

**ნოვგოროდი.** დიდის ამბით აკურთხეს ნეკრასოვის სახელობაზედ სახალხო უფასო სამკითხველო.

**პარიჟი.** იტალიის მეფე-დედოფალი გაემგზავრნენ აქედან.

**პეკინი.** „ტაიმსის“ ცნობა, რომ ვითომ უნდოდათ აეფეთქებინათ აქაური მისია ინგლისელთა, საფუძველს მოკლებულია.

**გავრი.** რუსეთის კონტრ-ნაღმიანი გემები „ბეზუპრეჩნი“ და „ბისტრი“ გაემართნენ პორტ-არტურს.

**ტიან-ძინი.** იოჰამპას აგებულ' იქმნა რუსთა სიმაგრე, მეორესაც აგებენ. რუსნი განზედ სწევენ მათ მიერ იჯარით აღებულ ოლქის სამზღვარს ტაიგნიდან სამხრეთად. სამხედრო მზადება არა სცხრება პორტ-არტურში. დიდძალი საქონელი გადიყვანეს იქ ხომალდებით.

**ვეი-ჰაი-ვეი.** იუწყებიან, რომ იაპონიამ გადასხა ჯარი პინიანის შესართავთან. რუსეთისა და იაპონიის წარმომადგენელთა ბჭობას არავითარი შედეგი არ მოჰყვა.

**პარიჟი.** ლუბესთან გამოთხოვებისას მეფემ ბრძანა: იმედია მალე მასიამოვნებთ და რომში მესტუმრებითო. ლუბე დაჰპირდა მალე ნახვას.

**სოფია.** ოპოზიციის მეთაურთა გულითადის დახვედრის შემდეგ, მემათრახეთა ბრბომ ასტეხა ჩხუბი, ისმოდა სროლა რევოლვერებისა. მინისტრად ნამყოფი დანევი დაშავდა ამ ჩხუბში. სცემეს და დასჭრეს რამდენიმე კაცი და მოჰკლეს ერთი.

**პეტერბურგის ბირჟა** 4 ოკდომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,70 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,60 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | $37,62^1/_2$ |
| ბირჟის დისკონტი | $5—6^1/_2\%$ |
| 4% სახელმწიფო რენტა | $99^1/_2$ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | $95^1/_8$ მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 446 მყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | $336^1/_2$ წვ. გაყიდ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 285 გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^1/_2\%$ ობლიგაც იმავე საზოგადოებისა | — |
| $4^1/_2\%$ ტფილ. საადგ. მამ· ბანკისა გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა | $91^3/_4$ გაყ. |
| 6% ქუთ. სა . მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | $91^1/_4$ |
| პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ. | 9450 გაყ. |
| აქციები. „ „ „ | — |
| „კასპიის ამხანაგობისა. | — |
| „ ბაქოს ნავთის საზოგად. | 380 მც. გაყ. |
| „ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. | 193 წვ. გაყ. |
| ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 185 წვრ. მყიდ. |

## გამოსადეგი ცნობები.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № $74_{75}$ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომსს; 1) სამგზავრო № $7/_3$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № ღამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდსი ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ., ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 8 ს. 23 წ.; დღის 4 ს, 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებიაქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ილგის სახებით ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

### ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 2 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

### კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი $1^1/_2$-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

### ნიხრი ხორცისა.

საქონლის ხორცი:

| | |
|---|---|
| 1 ხარისხისა გირვანქა | 11 კ. |
| 2 „ | 8 კ. |
| 3 „ | 6 კ. |
| სუკი | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | 10 კ. |
| კამეჩისა | 7 კ. |
| ღორისა | |
| 1 ხარისხის (საკატლეტე) | 11 კ. |
| 2 „ (ბარძაყი) | 10 კ. |
| 3 „ (დანარჩენი ნაწილი, ტყავებული) | 8 კ. |

ნიხრი პურისა.

თორნეში გამომცხვარი

| | |
|---|---|
| 1 ხარისხისა | 5 კ. |
| 2 „ | $3^1/_2$ |
| 3 „ | 3 კ. |

### მიმოსვლა ეტლებისა კავკასიის გზით.

**კარეტა** ვადიანი გადის ტფილისიდგან კავკავს 7-სა და 8 საათზედ დილით, ღამე ჩერდება მლეთში და კავკავს მიდის საღამოს 7 საათზე.

გარდასახადი:

| | |
|---|---|
| 1 კლასით | 15 მან. |
| 2 „ | 10 „ |
| 3 „ | 5 „ |

**ლინეიკა** გადის ტფილისიდგან ნაშუადღევის 3 საათზე, ღამე არსადა ჩერდება.

გარდასახადი:

| | |
|---|---|
| 1 ადგილისა | 6 მ. 80 კ. |
| 2 „ | 4 „ 80 „ |

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

### საეკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)


## განცხადებანი

იაფ-ფასიანი ქართული სამკითხველოები „ქ. შ. წ.-კ. საზოგადოებისა“

პირველი იმყოფება თავად-აზნაურობის ქარვასლაში, № 98.

მეორე—ვერაზედ, ოლგინის ქუჩ., № 22.

სამკითხველო ღიაა ყოველ დღე, დილით 10—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათ.

კვირა-უქმეობით 11—1 საათამდე.

სამკითხველოში მოიპოვება, გარდა ყველა ქართულ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა, ახალი რუსული ჟურნალებიც.

(5—უ—3)

**ამერიკის ვაზის პიტომნიკი**

ს. კარალეთი, გორის მაზრა, 7 ვერსზედ გორიდან, თ-დ მიხეილ რევაზის-ძე ერისთავის მამულში ისყიდება ერთის წლის ნამყენი ამერიკის ვაზზედ, რუპრესტრის მანტიკულაზედ, კახური ჯიშები—რქა-წითელი და საფერავი.

1000 ძირი—80 მანათი.

სანამყნე ფესვიანი ამერიკის ვაზი რუპრესტრის მანტიკულა

1000 ძირი—20 მანათი

(4—28—3)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ სამოკვლევათა კაბინეტით. გაღამდების ზენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

**ყველა**

ადვილად და პატიოსნურად იშოვოს თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მოხლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი ადრესი! U. 111, an das Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44

(50—32)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

**ბაჯანა**

მოთხრობა ნ. ლომაურ.ისა ფასი 5 კაპ.

### ახალი იაფ-ფასიანი წიგნები

ჟურნალ «მოგზაურის» რედაქციაში ისყიდება შემდეგი იაფ-ფასიანი წიგნები:

1. წვრილი სოფლელ მუშას, ფ. 5 კ.
2. ყელ-ჭირვება ანუ დიფტერიტი, ფ. 5 კ.
3. მეცნიერების დედა-აზრი, ფ. 5 კ.
4. ძველი რწმენა-წარმოდგენები და მეცნიერება, ფ. 5 კ.
5. რა არის გონებითი გახსნა-განვითარება, ფ. 5 კ.
6. პურის ბოსტანი ანუ მოყვანა პურისა ჩინურ-იაპონურის წესით, ფ. 7 კ.
7. ბავშვების გონიერი მოვლა ანუ რისგან იხოცებიან ბავშვები უდროოდ, ფ. 5 კ.
8. დანაშაულობა-დამნაშავენი და ახალი საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კ.
9. მეურნეობა და ახალი სკოლა, ფ. 5 კ.
10. შინაური ფრინველების: ქათმების, ინდაურების, ბატების, იხვების და ხოხბების მოვლა-მოშენება, სურათებით, ფ. 15 კ.
11. რა არის დოსტაქრობა (ხირურგია) ანუ როგორ არჩენენ ექიმები დანით, ფ. 5 კ.
12. „მურია“, სურათებით, საყმაწვილო მოთხრობა, ფ. 5 კ.
13. თვით-მასწავლებელი რუსულის ენისა ქართულის ენის შემწეობით, სურათებით, ფ. 20 კ.
14. სულით ავადმყოფნი მოსწავლენი ფ. 5 კ.
15. ხეხილის გამრავლება და მოვლა, სურათებით, ფ. 7 კ.
16. მეფე ლამზა, საყმაწვილო მოთხრობა, სურათებით, ფ. 7 კ.
17. საუნჯე ავადმყოფისა, ანუ აღწერა და წამლობა ყოველ-გვარ ავადმყოფობისა, ფ. 15 კ.
18. საუნჯე მეურნისა, ანუ აღწერა, მოვლა და გამრავლება, გამოყენება ყოველ-გვარ ხეხილისა, ბუჩქისა და უბრალო ხეებისა, ფ. 15 კ.
19. მთვრალობა და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 15 კ.
20. ცხვრის ყვავილი, ფ. 5 კ.
21. ქვეყნიერების მასალა ანუ მატერიის ქიმიური რაობა, ფ. 7 კ.
22. ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები, ფ. 5 კ.
23. გმირი როლანდი, მოთხრობა მოზრდილთათვის, ფ. 10 კ.
24. დროა გონს მოვიდეთ! ანუ ლოთობის წინააღმდეგ, ფ. 10 კ.
25. მეთევზის შვილი, სურათებით, საყმაწვილო ზღაპარი, ფ. 10 კ.
26. ხტუნია-ციუუნია, სურათებით, საყმაწვილო წიგნი, ფ. 10 კ.
27. ლინარდი და გერტრუდა, პედაგოგიური მოთხრობა პესტალოცისა, ფ. 10 კ.
28. ცივილიზაციის ისტორია ინგლისში, ბოკლისა, ფ. 40 კ.
29. შიო—თავადი, ლეგენდა ლექსად, ფ. 10 კაპ.
30. ცხენის წურბელა, მოთხრობ ხალხის ცხოვრებიდამ, ფ. 10 კ.
31. მაჭმადი და მისი ცხოვრება-მოქმედება, სურათებით, ფ. 10 კაპ.
32. როგორ ცხოვრებენ ჩინელები, ფ. 10 კაპ.
33. დარვინიზმი, პირველი და მეორე წიგნი, ფ. 20 კ.
34. სიფრთხილეს თავი არ სტკივა ანუ საქონლის ჭირის შესახებ, ფ. 5 კ.
35. აღზრდა შვილისა, თხზ. ბემესი, ფ. 15 კ.
36. ტყის გონიერი მოვლა-გაშენება, ფ. 10 კაპ.
37. ახალი წესი ვენახების გაშენებისა საქართველოში, ფ. 10 კ.
38. საქონლისათვის საკვები ბალახების თესვა-მოყვანა, სურათებით, ფ. 20 კ.
39. სარკე გურულთა ცხოვრებისა, ფ. 5 კ.
40. ისტორია სწავლა-აღზრდისა, ფასი 10 კ.
41. ალბომი «ქართველთა ტომი», ასი მეტი სურათით, ფ. 70 კ.
72. Новая народная школа и основы ея развитія и существованія, ф. 5 к.

ვინც ერთის მანეთისას ანუ მეტისას გაიწერს, გაგზავნის ხარჯს რედაქცია კისრულობს. მანეთზე ნაკლები ხვედრი ფული შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს და ფოსტის ხარჯითაც სამ-სამი კაპეიკი წაემატოს თვითოეულ დაბარებულ წიგნზედ.

ადრესი: Тифлисъ, Редакція «Могзаури» Ивану Павловичу Ростомашвили. ტფილისში მცხოვრებთ ადგილობრივ წიგნთ-სავაჭროებშიაც შეიძლება იყიდონ.

(10—9)


Дозволено цензурою. Тифлисъ 6 октября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи
...ებით-რედაქტორი ბ. ყიფშიძე სარაჯიშვილ